

ბენზინგასამართ სადგურებზე საწვავის ფასი იზრდება



საწვავის ფასი რამდენიმე დღეში მოიმატებს . მსოფლიო ბაზარზე 1 ბარელი ნავთობის ღირებულება \$79 –ია, დარის კურსი კი 2,58-ს გადასცდა. სპეციალისტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ თუ ეს მოცემულობა შენარჩუნდება, საქართველოში ბრენდირებულ სადგურებზე საწვავი 2,60

დარამდე გაძვირდება, წერს [„რეზონანსი“](#) .

გაძვირება ჯერჯერობით არ დაწყებულა საქართველოში მსხვილ ბენზინგასამართ სადგურებზე, თუმცა მცირე აგს-ების ნაწილმა ფასისმატება უკვე დაიწყო. ღირებულების უცვლელად შენარჩუნების მიზები, სავარაუდოდ, მარაგია, რომელიც ჯერ არ ამოწურულა. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ისიც რამდენიმე დღეში ამოიწურება და ფასისმატებაც დაიწყება.

დარის კურსი ახლო სამეზობლოში განვითარებული მოვლენების გამო გაუფასურდა და მორღინი არასაიმედოა. მსოფლიო ბაზარზე დღიური მყარდება, თურქეთში სავარაუდო კრიზისი გრძელდება და ამას ემატება შემოღგომისა და ზამთრის პერიოდის მოახლოება, როცა დარი ბოლო წდების განმავლობაში ისედაც მუდმივად შოკურ პროცესშია. ვარუტის კურსისა და მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასის გათვარისწინებით, საქართველოში ცხელი ფასების შემოღგომა-ზამთრის მორღინია.

საწვავის ფასისმატების ტენდენციას ეხმაურება ეკონომისტი **ნიკა შენგელია** და აღნიშნავს, რომ ქართველმა იმპორტიორებმა ამ ფასის პირობებში არ უნდა შეავსონ მარაგი, რადგან 10-13 სექტემბრიდან, დიდი ადბათობით, 20-22 დეკემბრამდე მსოფლიო ბაზარზე ფასის მკვეთრი კლებაა მოსალოდნელი. იმავე პროგნოზს აკეთებს ამერიკის

საავტომობილო ასოციაცია. მათხუდის სეზონის დასასრულის მოახლოებასთან ერთად, ამერიკის საავტომობილო ასოციაცია აშშ-ის ავტოგასამართ სადგურებზე ბენზინის ფასის მნიშვნელოვან დაცემას ელოდება. შემოდგომით, სავარაუდოდ, ბენზინზე მოთხოვნა მცირდება, მომხმარებელთა უმრავლესობას უმთავრდება საბათხურო შვებულება, რომელიც ხანგრძლივ მგზავრობას უკავშირდება.

ჯერჯერობით სურ სხვა ვითარებაა საქართველოში. კომპანია „ტრანს ლოგისტიკის“ დირექტორი **ჯაბა თარიმანიშვილი** ამბობს, რომ მსოფლიო ბაზარზე ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ფასი აღმავალია და ყველაობიექტური ფაქტორი აჩვენებს, რომ ასე გაგრძელდება. საბოლოო ჯამში, ფასის მატება საქართველოშიც აისახება.



„ბოლო პერიოდის დინამიკა აღმავალია. ბოლო დათვრით, თვითღირებულება ურფო მეტი გამოდის, ვიდრე ის ფასი, რაც დღეს ადგილობრივ ბაზარზეა. როგორც ჩანს, ქართველ იმპორტიორებს შემორჩენილი ჰქონდათ იაფი მარაგი და ამ ეტაპზე შეინარჩუნეს ღირებულება, მაგრამ მაქსიმუმ ერთ კვირაში და უფრო სავარაუდოა, რომ რამდენიმე დღეში ამას ვეღარ მოახერხებენ და ფასი საკმაოდ მოიმატებს.“

მე არ ვიცი, რას ეფუძნება მოსაზრება, რომ მსოფლიო ბაზარზე ფასის კლება დაიწყება, რადგან ღირებულების განმსაზღვრელი ბევრი ფაქტორია და ამ ყველაფრის პროგნოზირება ძალიან რთულია. ეკონომიკური მდგომარეობის გარდა, ექსპორტიორ ქვეყნებში ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია სანქციები, რომლებიც ამერიკამ ირანს დაუწესა და ნოემბრიდან ამოქმედდება, ვენესუელის ეკონომიკური

კრიზისი და ა. შ. ერთი კონკრეტული ფაქტორი, რომ ტურისტული სემონი დამთავრდა და მოხმარება შემცირდება, ვერაფერს ცვლის გლობალურ საფასო პოლიტიკაში”, – განუცხადა თარიმანიშვიდმა „რეზონანსს“.

მისივე თქმით, თუკი მსოფლიო ბაზარზე ეს ფასი შენარჩუნდა, ხოლო დარიც ამ ნიშნურზე დარჩა, საქართველოში ყველაზე იაფი საწვავის ღირებულება ბრენდირებულ სადგურებზე 250-260 ლარს მიაღწევს.

„უცხოური ექსპერტების ვარაუდიც ასეთი იყო და პრინციპში იმ რადიუსშია ფასები – დაახლოებით 80 ლარის ფარგლებში. თუ ამ ნიშნურს გასცდა, რა თქმა უნდა, იქნება მკვეთრი ნახტომი და ქართულ ბაზარზე საწვავი 3 ლარამდე მოიმატებს. დღეს კი რეალური თვითღირებულება იმგვარია, რომ საცაღო ქსელში 2,50-2,60 უნდა იყოს.“

ქართველ იმპორტიორებს საწვავის დიდი მარაგი არ გააჩნიათ. საქართველოში 5-7 ათას ტონამდე მოცულობის გემებით შემოდის საწვავი. თვეში დაახლოებით მთლიანად 100 000 ტონა საწვავის იმპორტი ხორციელდება. ეს რომ გავყოთ შემომტანების რაოდენობაზე, მივიღებთ, რომ თითოეულს 10 დღეზე მეტი მარაგის გაკეთება არ შეუძლია. ამიტომ ახლა რომც დაიმარაგონ, შემდეგი შევსებისას სხვაობა მაინც მარე გამოჩნდება, თუკი ტენდენცია კლებისაკენ წავა, თუმცა ახლა შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ამ ის არავითარი ობიექტური ნიშანწყალი არ ჩანს და ნავთობპროდუქტების გაძვირება ჩვენთანაც უახლოეს დღეებში მოხდება”, – აცხადებს თარიმანიშვიდი.

„დუკოდ-ჯორჯიას“ წარმომადგენელი **შავრვა მიშვედაძე** ამბობს, რომ ფასის მატება თავად კომპანიებისთვისაც არასასურველია და ამ პროცესის გადავადებას ცდილობენ, თუმცა მსოფლიო ბაზარზე არსებული ტენდენციიდან გამომდინარე, გაძვირება ქართულ ბაზარზეც დაწყებულია.

„იმ ტიპის კომპანიებისათვის რომლებიც საქართველოში მუშაობენ, ფასის მატება არის ყველაზე არასასურველი მოვლენა. ძარზე ნეგატიურად აისახება ეს ჩვენს ბიზნესზე. როგორც კი ძვირდება“

ფასი, მომენტარულად მცირდება მომხმარებელთა რაოდენობა. ამიტომ, მუდმივად ვცდილობთ, არ გავაძვიროთ სანვაგი.

რასაკვირველია, მარაგის ხარჯზე ხდება ფასის მატების რაც შეიძლება გადავადება. დღემდე ჩვენ ამის რესურსი გვექონდა, რამდენ ხანს გვექნება კიდევ, ეს უცნობია და რასაკვირველია, იმპორტიორთა ნაბიჯებიც იქნება იმის ადეკვატური, როგორც განვითარდება მსოფლიოში ბაზარზე ტენდენცია და ვაღუტის გაცვრითი კურსი. ფაქტია, ტრენდი უკვე შეინიშნება ბაზარზე, 2-3 თეთრით გაძვირების პროცესი უკვე მიმდინარეობს”, – აცხადებს მიშვერაძე „რეზონანსთან“.